უწმინდესმა პატრიარქმა კირილემ IX ფესტივალის – „რწმენა და სიტყვა“ –მონაწილეების შეკითხვებს უპასუხა



2021 წლის 21 ოქტომბერს შედგა მოსკოვისა და სრულიად რუსეთის უწმინდესი პატრიარქის კირილეს ონლაინ-საუბარი IX საერთაშორისო ფესტივალის – „რწმენა და სიტყვა“. „ეკლესია ცვალებად სამყაროში: ციფრული გამოწვევები და გაკვეთილები“ – დელეგატებთან. საუბრის მსვლელობისას რუსეთის ეკლესიის წინამძღვარმა ფორუმის მონაწილეების შეკითხვებს უპასუხა.

ერთ-ერთი შეკითხვა მის უწმინდესობას დაუსვა ეკატერინოდარისა და ყუბანის ეპარქიის საეკლესიო საზოგადოებასთან და მედიასთან ურთიერთობის განყოფილების ხელმძღვანელმა დეკანოზმა მიხეილ სტეპანკოვმა:

„კონფერენციის გახსნაზე – „მსოფლიო მართლმადიდებლობა: პირველობა და კრებსითობა მართლმადიდებლური სწავლების შუქზე“ – თქვენ თქვით, რომ კონსტანტინეპოლის საპატრიარქო

რეალურად მიჰყვება 1054 წლის სქიზმის რეპროდუცირების მოდელს. თუკი ეს მართლაც ასეა, თუ ეს მართლაც მათი მიზანია, მაშინ სად მივდივართ? რა გველოდება?“.

„ეს არ შეიძლება იყოს კონსტანტინეპოლის საპატრიარქოს მიზანი. ის, რასაკვირველია, არ ისწრაფვის განხეთქილებისკენ; მართლმადიდებლობის ერთობის დარღვევა არ შედის მის გეგმებში. მაგრამ მისწრაფება, დაამტკიცოს საკუთარი პირველობა არა როგორც პირველი თანასწორთა შორის, არამედ როგორც პირველი თანასწორთა გარეშე – რასაც უკვე დეკლარირებს კონსტანტინეპოლი – რა თქმა უნდა, თავისთავში ატარებს ერთმნიშვნელოვნად საშინელ მუხტს, ეკლესიის ერთობის დამშლელ ბაცილას“, – მიუგო უწმინდესმა პატრიარქმა კირილემ.

სწორედ ამ გაგებით რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის მეთაური მუდმივად ახსენებს საზოგადოებას, თუ რა მოხდა 1054 წელს: „რომის ეპისკოპოსი ცდილობდა, გაევრცელებინა თავისი პირდაპირი იურისდიქცია მთელს მსოფლიო ეკლესიაზე. მაგრამ მოიცათ, აბა ახლა რა ხდება? დღეს კონსტანტინეპოლის პატრიარქი, თავისი პირველობის ახლებური ინტერპრეტაციით, აცხადებს, რომ ეს არის პირველობა თანასწორთა გარეშე, რომ ეს არის მისი ღმერთის მიერ განსაზღვრული ადგილი, რომელიც გულისხმობს ძალაუფლების განხორციელებას ყველა სხვა ადგილობრივ მართლმადიდებელ ეკლესიასთან მიმართებით. ასე რომ, ეს იგივე პოზიცია, რამაც განყოფა გამოიწვია 1054 წელს!“.

„მაშინ ჩნდება კითხვა: როდის გაჩნდა ეს დოქტრინა კონსტანტინეპოლში? ჩვენ არ გვახსოვს ეს დოქტრინა 30 წლის წინ. ეს რომ უბრალოდ თეორიული დისკურსი ყოფილიყო, შეიძლებოდა გვეკამათა კონფერენციებზე. მაგრამ ეს ხომ არა მხოლოდ თეორიული დისკურსია – ეს კონსტანტინეპოლის პრაქტიკული ქმედებებია, უპირველესად, უკრაინასთან დაკავშირებული. კონსტანტინეპოლი შეიჭრა სხვა მართლმადიდებელი ეკლესიის კანონიკურ სივრცეში, უფრო მეტიც, ამ ტერიტორიაზე წარმოშობილ თვითნებურ სქიზმატურ გაერთიანებას მან თავისი ძალაუფლებით ლეგალიზაცია მიანიჭა და საკუთარ თავის ქვეშ დაიქვემდებარა. ნუთუ კონსტანტინეპოლს, როდესაც ასეთ მაცდურ და ისტორიული რეალობის თვალსაზრისით მართლაც აუხსნელ ქმედებებს სჩადის, არ ესმის, რომ ისინი განყოფამდე მიგვიყვანს?“ – დასვა შეკითხვა რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის მეთაურმა.

მისი უწმინდესობის თქმით, იმის კანონიერად აღიარება, რაც კონსტანტინეპოლმა მოიმოქმედა, „აღმოსავლეთის პაპის აღიარება“ იქნებოდა. „თუ ჩვენ მართლმადიდებლებად ვრჩებით, მაშინ ჩვენ ვაღიარებთ, რომ მართლმადიდებელი ეკლესია კრებსითად იმართება, რომ მართლმადიდებელ ეკლესიაში არსებობს პირველი თანასწორთა შორის და რომ ამ პირველს ძალიან შეზღუდული ფუნქცია აქვს, რომელიც არანაირად არ უკავშირდება ადგილობრივი მართლმადიდებელი ეკლესიების მართვას, არამედ წმინდა წარმომადგენლობითია – ის პირველია ღვთისმსახურების დროს. ჩვენ იმასაც კი დავთანხმდით, რომ საერთო მართლმადიდებლურ თათბირებზე თავმჯდომარე კი არ ირჩეოდეს, არამედ ასეთი იყოს კონსტანტინეპოლის პატრიარქი, – თუმცა თავდაპირველად მოვითხოვდით, რომ კრების თავმჯდომარე უნდა არჩეულიყო“, – ბრძანა პატრიარქმა კირილემ.

რუსეთის მართლმადიდებელ ეკლესიაში „ყოველთვის მიდიოდნენ მართლმადიდებელთაშორისი დიალოგისათვის ხელსაყრელი ატმოსფეროს შექმნის გზით“, – აღნიშნა უწმინდესმა მეუფემ. „ჩვენ იმიტომაც გავიწვიეთ ჩვენი მოთხოვნა თავმჯდომარის არჩევასთან დაკავშირებით; დავეთანხმეთ – კარგი, იყოს კონსტანტინეპოლი. მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ჩვენ დავეთანხმეთ კონსტანტინეპოლის პატრიარქის განსაკუთრებულ, სხვა პატრიარქებისგან განსხვავებულ ხელმწიფებრივ უფლებამოსილებას, მით უმეტეს მთელ მსოფლიო მართლმადიდებლობასთან მიმართებით“, – შეაჯამა რუსეთის ეკლესიის წინამძღვარმა.

სსკგ-ს კომუნიკაციის სამსახური

წყარო: https://mospat.ru/ge/news/88289/